

შპს „ტუმბო“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, განასხვავოს ერთმანეთისგან მენეჯმენტისა და აუდიტორთა პასუხისმგებლობები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ტუმბო“-ს (შემდეგში კომპანია) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში. მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მიერ ჩატარებული ქმედებების შედეგებზე, ფულადი ნაკადის მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშზე ზემოთაღნიშნული წლის ბოლოსთვის, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის დაცვით (მსს ფასს). ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- მსს საერთაშორისო სტანდარტის თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში. მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:
- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა კომპანიაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ების დაცვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის, მენეჯმენტის მხრიდან 2025 წლის 26 სექტემბრის დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ.

დირექტორი

ზურაბ თეთრაშვილი



2024 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	165049	100640	1233276
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	682557	573621	615116
მზა პროდუქცია	7792116	5819494	4807260
სხვა მოკლევადიანი აქტივები	1038150	401361	143633
ძირითადი საშუალებები	445085	344485	364401
სულ აქტივები	10122957	7239601	7163686
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	449846	6405	9194
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	5102	3716	5344
საგადასახადო ვალდებულებები	77960	81471	78669
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	1808144	900168	1891543
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	882000	888773	1236133
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	3223052	1880533	3220883
საკუთარი კაპიტალი	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	6899905	5359068	3942803
სულ საკუთარი კაპიტალი	6899905	5359068	3942803
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	10122957	7239601	7163686

შპს „ტუმბო“-ის დირექტორი
ზურაბ თეთრაშვილი



2024 დასრულებული წლის საქმიანობის შედეგები		
	2024	2023
საქონლის გაყიდვიდან	9052317	7317173
გაყიდვების თვითღირებულება	-3493883	-2617295
საერთო მოგება	5558434	4699878
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1343233	-1064599
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-92715	-79532
საპროცენტო ხარჯი	-339486	-298506
იჯარის ხარჯი	-1315477	-868966
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-900890	-824104
სულ საოპერაციო ხარჯები	-3991801	-3135707
საოპერაციო მოგება	1566633	1564171
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-6551	-23276
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	11715	-791
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	1571797	1540104
მოგების გადასახადის ხარჯი	-4644	-23839
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	1567153	1516265
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	5359068	3942803
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-26316	-100000
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	6899905	5359068

შპს „ტუმბო“-ის დირექტორი
ზურაბ თეთრაშვილი



შპს „ტუმბო „

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ტუმბო“-ს იურიდიული ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართი არის: თბილისი ბელიაშვილის ქ #23

შპს „ტუმბოს“-ს აქვს საქმიანობის ორი მიმართულება:

- 1) წყლის სისტემების (ტუმბოების) და მისი დამხმარე ნაწილების რეალიზაცია.
- 2) ჰაერის სისტემების (კომპრესორების) და მისი დამხმარე ნაწილების რეალიზაცია.
- 3) წყლის გათბობის სისტემების (ქვაბები, რადიატორები) და მისი დამხმარე ნაწილების რეალიზაცია.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა განცხადება შესაბამისობის შესახებ

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის ” (მსს ფასს) (IFRS for SMEs) შესაბამისად.

საქართველოში რეგისტრირებული კომპანია საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერებს აწარმოებს მასს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად. უნდა ჩაითვალოს რომ ზემოდ ხსენებულ სტანდარტზე კომპანია გადავიდა 2018 წლის 1 იანვრიდან. ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია კომპანიის საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერების საფუძველზე. კომპანია თავის ოქმების კრებულებსა და ჩანაწერებს აწარმოებს ქართულ ლარში და ასევე ქართულ ლარში აწარმოებს ფინანსურ ანგარიშგებებს. ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მსს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობისგან, გამოიყენოს განსჯა, კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას. ის სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი განსჯა და შეფასებებია გამოყენებული, ფინანსური ანგარიშგებების მომზადების დროს და მათი შედეგი მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკასა და ახსნა-განმარტების შენიშვნებში.

ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

სამუშაო ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს ბანკის შუალედურ ანგარიშზე.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მყიდველისაგან ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადი. იგი ეფუძნება მიმდინარე წლის განმავლობაში წმინდა მოგების განაწილებას დივიდენდის სახით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება 20 პროცენტიანი წლიური განაკვეთები.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ტესტირება გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება უდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის

ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლომატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად წარმოიქმნება კომპანიის მიერ სხვადასხვა სავაჭრო ქსელში დილერებზე რეალიზაციის შედეგად, რომელთა უმეტესობისგან თანხის ანგარიშსწორება ხდება მას შემდეგ რაც სადილერო ქსელებში მოხდება ჩვენი პროდუქციის რეალიზაცია მომხმარებლის მიერ. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. სავაჭრო ვალდებულებების კორექტირება აისახება კორექტირების თარიღით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ერთჯერადად დაქირავებულის მომსახურების ანაზღაურების ღირებულება განისაზღვრება ჩატარებული სამუშაოების მიღება ჩაბარების აქტის ან გასავლის ორდერის მიხედვით. გასავლის ორდერში მითითებულია შესრულებული სამუშაო და ღირებულება და თანხის მიღება. ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი დასტურდება შესაბამისი ხელმოწერებით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

კომპანიის სასაქონლო მატერიალურ მარაგებს ძირითადად წარმოადგენს:

- 1) წყლის სისტემები:
 - 1.1 ზედაპირული ტუმბოები და მისი შემადგენელი ნაწილები.
 - 1.2 ჭაბურღილის ტუმბოები და მისი შემადგენელი ნაწილები.
 - 1.3 საცირკულაციო ტუმბოები და მისი შემადგენელი ნაწილები.
 - 1.4 სანიტარული ტუმბოები და მისი შემადგენელი ნაწილები.
- 2) ჰაერის სისტემები:
 - 2.1 ჰაერის კომპრესორები და მისი შემადგენელი ნაწილები.
 - 2.2 ჰაერის ტუმბოები და მისი შემადგენელი ნაწილები.
- 3) გათბობის სისტემები:
 - 3.1 გათბობის ქვაბები და მისი შემადგენელი ნაწილები.
 - 3.2 გათბობის რადიატორები და მისი შემადგენელი ნაწილები.

ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითად საშუალებებს შედგენს მანქანა-დანადგარები, ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი, ტრანსპორტი, იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით 20%-იანი განიკვეთის მიხედვით.

	საბალანსო ღირებულება დასაწყისში 2024წ	შემოსვლა 2024წ.	გასვლა 2024 წ.	ცვეთა	საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოსთვის 2024 წ
მანქანა-დანადგარები	11115.79	51921.73	0	7596.04	55441.48
ოფისის აღჭურვილობა	38850.67	267.85	0	7803.27	31315.25
ავეჯი და სხვა ინვენტარი	47712.48	76950,65	0	20451.39	104211.74
ტრანსპორტი	240370.03	63903	0	55529.35	248743.68
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	6436.15	271.19	0	1336.96	5370.38

გადავადებული გადასახადი

კომპანიას გადავადებული გადასახადის ვალდებულება არ ერიცხება

სესხი და საბანკო გარანტია

კომპანიას სარგებლობს პროკრედიტ ბანკის სესხით და რამდენიმე საკრედიტო ხაზით, ასევე გააჩნია ფიზიკური პირებისგან აღებული სესხებიც.

ვალდებულებები

ადგილობრივი საქონლის და იმპორტის შეძენიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები:

2022 – 9194 ლარი
2023 – 6405 ლარი
2024 – 449846 ლარი

მოთხოვნები

საქონლის რეალიზაციით წარმოქმნილი მოთხოვნები

2024	2023
ლარი	ლარი
682558	573621

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულებები

კომპანიას დაქირავებულ მომსახურე პირების მიმართ გააჩნია 5102 ლარის ვალდებულება, რომელიც უნდა გაიცეს იანვრის დასაწყისში ბონუსის სახით.



პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები კომპანიას არ უფიქსირდება

ფინანსური რისკები

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან. საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები. კომპანიის რისკის მართვა მიზნად ისახავს კომპანიის ფინანსურ საქმიანობაზე უარყოფითი გავლენის მაქსიმალურად შემცირებას.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2025 წლის 26 სექტემბერი.

შპს „ტუმბო“-ს დირექტორი
ზურაბ თეთრაშვილი

